

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2013 წლის 27 ივლისის N 871-რს დადგენილებით

ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან

**პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური
პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი,
ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო
გადადინებასთან დაკავშირებით
სტარსბურგი 8.11.2001**

პრეამბულა

1981 წლის 28 იანვარს, ქალაქ სტარსბურგში ხელმოსაწერად გახსნილი პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) დამატებითი ოქმის მონაწილე მხარეები; დარწმუნებულნი არიან რა, რომ ზედამხედველობითი ორგანოები, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს სრულიად დამოუკიდებლად, წარმოადგენენ ფიზიკური პირის ეფექტური დაცვის საშუალებას პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხთან დაკავშირებით; ითვალისწინებენ რა, ხალხებს შორის ინფორმაციის გადადინების მნიშვნელობას; მხედველობაში იღებენ რა, რომ სახელმწიფოთა შორის პერსონალური მონაცემების ურთიერთგაცვლის მოცულობის ზრდის პირობებში, აუცილებელია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტალური თავისუფლებების, განსაკუთრებით კი ასეთი ურთიერთგაცვლასთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების, ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფა. შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 - ზედამხედველობითი ორგანოები

1. ყოველი მხარე გამოყოფს ერთ ან რამდენიმე ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაიცვას ყველა შიდასაკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც აკანონებს კონვენციის მე-2 და მე-3 თავებსა და წინამდებარე ოქმში მოცემულ პრინციპებს.
2. ა. ამ მიზნისთვის, აღნიშნულ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებით გამოძიებისა და ინტერვენციის უფლებამოსილება და ასევე სამართლებრივ საქმის წარმოებაში ჩართვის უფლებამოსილება ან იმის უფლებამოსილება, რომ მიაქცევიან ყურადღება კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებს იმ შიდასაკანონმდებლო დებულებების დარღვევის ფაქტებზე, რომლებიც აკანონებენ წინამდებარე ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის პრინციპებს.

ბ. ყველა ზედამხედველობითი ორგანო ვალდებულია განიხილოს ნებისმიერი პირის მიერ შეტანილი საჩივარი, რომელიც ეხება მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას.

3. ზედამხედველობითი ორგანოები სრულიად დამოუკიდებლად განახორციელებენ საკუთარ ფუნქციებს.

4. ზედამხედველობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოებში.

5. მე-4 თავის დებულებების თანახმად და კონვენციის მე-13 მუხლის დებულებების შეუზღუდავად, ზედამხედველობითმა ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან თავიანთი მოვალეობების შესრულების, კერძოდ კი ყველა საჭირო ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში.

მუხლი 2 - პერსონალური მონაცემების ტრანსსასაზღვრო გადადინება ისეთი მიმღებისათვის, რომელზეც არ ვრცელდება კონვენციის მხარის იურისდიქცია

1. ყოველი მხარე უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების გადაცემას ისეთი მიმღებისთვის, რომელზეც ვრცელდება იმ სახელმწიფოს ან ორგანიზაციის იურისდიქცია, რომელიც არ არის კონვენციის მხარე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელმწიფო თუ ორგანიზაცია უზრუნველყოფს კონკრეტულ გადასაცემ მონაცემთა ადეკვატურ უსაფრთხოებას.

2. წინამდებარე ოქმის მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფის პირობის მიუხედავად, ყოველ მხარეს შეუძლია პერსონალური მონაცემების გადაცემა:

ა. თუკი ამას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს:

- მონაცემთა შინაარსისადმი არსებული კონკრეტული ინტერესების გამო, ან;

- ლეგიტიმური უპირატესი ძალის მქონე ინტერესებისთვის, კერძოდ კი საზოგადოებრივი ინტერესების გამო, ან

ბ. თუკი პერსონალური მონაცემების გადაცემაზე პასუხისმგებელი მაკონტროლებელი უზრუნველყოფს, სახელმეკრულებო დებულებებიდან გამომდინარე უსაფრთხოების ზომების მიღებას და ეს ზომები ადეკვატურად ჩაითვლება კომპეტენტური ორგანოების მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3 - დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე ოქმის პირველი და მეორე მუხლების დებულებებს, მხარეები მიიჩნევენ კონვენციის დამატებით მუხლებად და კონვენციის ყველა დებულება შესაბამისად იქნება გამოყენებული.

2. წინამდებარე ოქმი ხელმოწერისთვის ღია იქნება კონვენციის ხელმომწერი მხარეებისთვის. კონვენციასთან, მის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მიერთების შემდეგ ევროპულ გაერთიანებას უფლება აქვთ ხელი მოაწერონ წინამდებარე ოქმს. ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას და დამტკიცებას. წინამდებარე ოქმზე ხელმომწერს არ აქვს მისი რატიფიკირების, მიღების ან

დამტკიცების უფლება, თუ მან წინასწარ ან იმავდროულად არ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება ან არ მიუერთდა მას. წინამდებარე ოქმის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტი უნდა ჩაბარდეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

3. ა. წარმოდგენილი ოქმი ძალაში შევა სამი თვის ვადის გასვლის შემდგომი თვის პირველივე დღიდან, იმ დღის შემდეგ, როდესაც ხუთი ხელისმომწერი გამოთქვამს თანხმობას ოქმის მიღებაზე მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფის დებულებების მიხედვით.

ბ. წარმოდგენილი ოქმის ნებისმიერ ხელმომწერთან მიმართებაში, რომელიც შემდგომ გამოხატავს თავის თანხმობას ოქმთან დაკავშირებით, ოქმი ძალაში შევა სამი თვის ვადის გასვლის შემდგომი თვის პირველივე დღიდან, მას შემდეგ, რაც მოხდება რატიფიცირების, მიღების და დამტკიცების ინსტრუმენტის ჩაბარება.

4. ა. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მიუერთდა კონვენციას, ასევე შეეძლება მიუერთდეს წინამდებარე ოქმს.

ბ. მიერთება ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის მიერთების ინსტრუმენტის ჩაბარების შემდეგ, რომელიც მოხდება მისი შემოტანიდან სამთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ მომდევნო თვის პირველივე დღეს.

5. ა. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე;

ბ. ეს დენონსირება ძალაში შევა სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, შემდგომი თვის პირველივე დღიდან, მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი მიიღებს ასეთ შეტყობინებას;

6. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ევროპულ გაერთიანებას და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა წინამდებარე ოქმს:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ. რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტის ჩაბარების შესახებ;

გ. მე-3 მუხლის შესაბამისად წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. ნებისმიერი აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც უკავშირდება წინამდებარე ოქმს.

დასტურის ნიშნად სათანადოდ უფლებამოსილი ხელმომწერი მხარე ხელს აწერს წინამდებარე ოქმს.

ოქმი შედგენილია სტარსტურგში, 2001 წლის 8 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და ორივე დოკუმენტს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და წარმოადგენს ერთიან ტექსტს, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულია, რათა მიუერთდეს კონვენციას.

Дополнительный протокол к конвенции о защите физических лиц при автоматизированной обработке персональных данных (Страсбург, 8 ноября 2001)

"Дополнительный протокол к конвенции о защите частных лиц в отношении автоматизированной обработки данных личного характера, о наблюдательных органах и трансграничной передаче информации"

(ETS N 181)

(Подписан в г. Страсбурге 08.11.2001)

Преамбула

Стороны настоящего Дополнительного протокола к Конвенции о защите частных лиц в отношении автоматизированной обработки данных личного характера, открытой для подписания в Страсбурге 28 января 1981 года (далее именуемой "Конвенция"), убежденные в том, что наблюдательные органы, независимо осуществляющие свои функции, являются составной частью эффективной защиты частных лиц в отношении автоматизированной обработки данных личного характера; принимая во внимание важность передачи информации между народами; принимая во внимание то, что с увеличением обмена персональной информацией через национальные границы необходимо обеспечить эффективную защиту прав человека и фундаментальных свобод и, в частности, право на неприкосновенность частной жизни, в отношении такого обмена данными личного характера, согласились о нижеследующем:

Статья 1. Наблюдательный орган

1. Каждая Сторона предусматривает один или более наблюдательный орган, который несет ответственность за осуществление соблюдения ограничений ее национального права, обеспечивающего реализацию принципов, изложенных в главах II и III Конвенции и в настоящем Протоколе.
2. а) С этой целью указанные органы, в частности, уполномочивают проводить расследования, вмешиваться, а также принимать участие в юридических процессах или акцентировать внимание компетентных судебных органов на нарушении национального права, обеспечивающего реализацию принципов, упомянутых в параграфе 1 статьи 1 настоящего Протокола.
б) Каждый наблюдательный орган заслушивает претензии, поданные любым лицом относительно защиты его/ее прав и фундаментальных свобод в отношении обработки данных личного характера в пределах его компетенции.
3. Наблюдательные органы осуществляют свои функции абсолютно независимо.
4. Решения наблюдательных органов, которые повлекли претензии, могут быть обжалованы в суд.
5. В соответствии с положениями главы IV, не нанося ущерба положениям статьи 13 Конвенции, наблюдательные органы сотрудничают друг с другом в объеме, необходимом для выполнения их обязанностей, в частности, посредством обмена всеми необходимыми данными.

Статья 2. Трансграничная передача персональных данных получателю, не являющемуся субъектом права Стороны Конвенции

1. Каждая Сторона предусматривает передачу данных личного характера получателю-субъекту права государства или организации, не являющейся Стороной

Конвенции, только если это государство или организация обеспечат адекватный уровень защиты данных, предназначенных для передачи.

2. Посредством частичной отмены из параграфа 1 статьи 2 настоящего Протокола каждая Сторона может разрешить передачу данных личного характера:

а) если национальное право предусматривает это ввиду определенной заинтересованности в отношении субъекта данных или законных интересов, наиболее важных государственных интересов, или

б) если гарантии, которые могут быть, в частности, результатом условий договора, предусмотренные ответственным за передачу контролером, признаются адекватными компетентными органами в соответствии с национальным правом.

Статья 3. Заключительные положения

1. Положения статей 1 и 2 настоящего Протокола рассматриваются Сторонами как дополнительные статьи к Конвенции, все положения Конвенции применяются соответственно.

2. Настоящий Протокол открыт для подписания государствами, подписавшими Конвенцию. После присоединения к Конвенции в соответствии с предусмотренными для этого условиями, Европейские сообщества могут подписать настоящий Протокол. Настоящий Протокол подлежит ратификации, одобрению или утверждению. Государство, подписавшее настоящий Протокол, может ратифицировать, одобрить или утвердить Протокол, если только оно предварительно или одновременно ратифицировало, одобрило, утвердило Конвенцию или присоединилось к ней. Грамоты о ратификации, утверждении или одобрении настоящего Протокола сдаются на хранение Генеральному секретарю Совета Европы.

3. а) Настоящий Протокол вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с момента, когда пять государств выразят согласие принять на себя обязательства, вытекающие из Протокола, в соответствии с положениями параграфа 2 статьи 3.

б) Для государств, подписавших настоящий Протокол, которые в последующем выразят свое согласие принять на себя обязательства по нему, Протокол вступает в силу на двадцать первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с момента сдачи на хранение грамоты о ратификации, утверждении или одобрении.

4. а) После вступления в силу настоящего Протокола любое государство, которое присоединилось к Конвенции, может также присоединиться к Протоколу.

б) Присоединение вступает в силу при сдаче на хранение Генеральному секретарю Совета Европы документа о присоединении, который вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с момента его сдачи на хранение.

5. а) Любая Сторона может в любое время денонсировать настоящий Протокол путем направления уведомления на имя Генерального секретаря Совета Европы.

б) Такая денонсация вступает в силу в первый день месяца, следующего за истекшим трехмесячным периодом, считая с момента получения уведомления Генеральным секретарем.

6. Генеральный секретарь Совета Европы уведомляет государства-члены Совета Европы, Европейское содружество и другие государства, которые могут присоединиться к Протоколу:

а) о любом подписании;

b) о сдаче на хранение любой ратификационной грамоты или любого другого документа о принятии, одобрении или присоединении;

c) о любой дате вступления настоящего Протокола в силу в соответствии со статьей 3;

d) о любом ином акте, уведомлении или сообщении, относящихся к настоящему Протоколу.

e) В удостоверение чего нижеподписавшиеся, должным образом на то уполномоченные, подписали настоящий Протокол.

Совершено в Страсбурге 8 ноября 2001 года на английском и французском языках, причем оба текста имеют одинаковую силу, в единственном экземпляре, который хранится в архиве Совета Европы. Генеральный секретарь Совета Европы направляет заверенную копию каждому государству-члену Совета Европы, Европейским сообществам и любому другому государству, которому было предложено присоединиться к Конвенции.